პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 191 (19632) ◆ ოთხშაბათი, 20 აგვისტო, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, გაითვალისწინეს რა, რომ საჭიროა ჩრდილოეთისა და ციმბირის მდინარეების ჩამონადენის ნაწილის გადაგდების პრობლემათა ეკოლოგიური და ეკონომიკური ასპექტების დამატებით შესწავლა, რასაც მხარს უჭერენ საზოგადოებრიობის ფართო ფენებიც, და წყლის რესურსებისა და არსებული მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის გადიდების სამუშაოთა შესრულებისათვის ფინანსური და მატერიალური რესურსების კონცენტრაციის მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნიეს შეწყდეს მდინარე ვოლგაში ჩრდილოეთის მდინარეების ჩამონადენის ნაწილის გადაგდების საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება და შემდგომი საპროექტო დამუშავება, რომელიც დაკავშირებულია შუა აზიასა და იაზახეთში ციმბირის მდინარეების ჩამონადენის ნაწილის გადაგდებასთან.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვსა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაევალათ 1986-1990 წლების გეგმებიდან ამოიღონ აღნიშნულ სამუშაოთა შესრულების დავალებანი.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცათ ამ დადგენილების შესაბამისად გამოთავისუფლებული სახსრები და მატერიალური რესურსები მოახმარონ რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმიწანადაგიანი ზონის მიწების მელიორაციას, მდინარე ვოლგის აუზის სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციის სამუშაოთა გაფართოებას.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას დაევალათ გაანგარძონ წყლის რესურსების რეგიონალური გადანაწილებასთან დაკავშირებული მეცნიერული პრობლემების შესწავლა ყოველმხრივი ეკონომიკური და ეკოლოგიური გამოკვლევების მოწყობის, თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების, აგრეთვე ამ დარგში საბჭოური და საზღვარგარეთული გამოცდილების ღრმა ანალიზის საფუძველზე.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვი, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი და განსაზღვრონ სამოქმედო პროგრამა, რათა მნიშვნელოვნად გაზარდონ სარწყავი მიწების ეფექტიანობა მოქმედი სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციის, ინტენსიფიკაციის ყველა ფაქტორის — მწყათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების, ინდუსტრიული ტექნოლოგიების, რწყვის პროგრესული ხერხების, ახალი მანქანებისა და მექანიზმების კომპლექსურად გამოყენების, მინერალური და ორგანული სასუქების, აგრეთვე მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვათა ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სამრეწველო სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ, რომ განხორციელდეს საწარმოო-საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საჭიროებებისათვის წყლის რესურსების ეკონომიური გამოყენების ქმედითი ღონისძიებანი, ამასთან მზედველობაში იქონიონ, რომ თითოეულ საწარმოსა და ორგანიზაციას დაუწესონ კონკრეტული დავალებანი, რათა მიმდინარე ხუთწლედში მიაღწიონ, რომ აღნიშნული მიზნებისათვის წყლის ხარჯვა შემცირდეს სულ ცოტა 15-20 პროცენტით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსა და თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მონაწილეობით დაევალათ შეიმუშაონ შუა აზიის რესპუბლიკებისა და ყაზახეთის საწარმოო ძალების განვითარების 2010 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამა შემქმნილი დემოგრაფიული და წყალსამეურნეო ვითარების, აგროსამრეწველო წარმოებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების სტრუქტურის სრულყოფის გათვალისწინებით.

მოხსენება ამ საკითხის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უნდა წარედგინოს არაუგვიანეს 1987 წლის 1 კვარტალისა.

„ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ ექიმთა“ საბჭოთა კომიტეტის

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ჩრდილოეთისა და ციმბირის მდინარეების ჩამონადენის ნაწილის გადაგდების სამუშაოთა შეწყვეტის შესახებ“

საუკუნის რეალობანი საერთაშორისო პასუხისმგებლობას მოითხოვს

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს და ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი ქვეყნის ახალ პოლიტიკურ ინიციატივას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა განცხადებაში საბჭოთა ტელევიზიით გამოსვლისას. მსოფლიოს ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობით გამსჭვალულ სსრ კავშირის გადაწყვეტილებას — 1987 წლის 1 იანვრამდე გაუგრძელოს ვადა ბირთვული აფეთქების ცალმხრივ მორატორიუმს — რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები აღიქვამენ კიდევ ერთ ისტორიულ ნაბიჯად, რომელიც მიეცა ამერიკის შეერთებულ შტატებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე. მოუწოდებენ რა ამერიკის ადმინისტრაციას უარად იღოს, ოლოს და ბოლოს, გონიერების ხმა, რეალურად შეაფასოს შექმნილი ვითარება და მიბაძოს სსრ კავშირის კარგ მაგალითს, ისინი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან ქვეყნად მშვიდობა, ყოველი ღონე იხმარონ პარტიის XXVII ყრილობის კონსტრუქციული საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის.

ბირთვულ პოლიგონებზე სიჩუმისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებამ ჩვენს კოლექტივში გამოიწვია სიამაყის გრძნობა მშობლიური ქვეყნისათვის, რომელიც დაუცხრომლად და თანამმდევრულად აზორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა კავშირმა, რომელმაც კიდევ ერთხელ გაუგრძელა ვადა ბირთვული აფეთქების ცალმხრივ მორატორიუმს, სისუსტე კი არა, კაცობრიობის ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობა გამოიჩინა, როგორც ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა. ბირთვულ საუკუნეში ატომური დაღუპვისაგან დედამიწის ხსნა ზოგადსაკაცობრიო ამოცანა, ყველა ხალხის საქმეა.

ჩვენ, მუშებს, კარგად გვესმის, რომ ძვირადღირებული გამალებული შეიარაღება, რომელსაც თავს გვახვევენ, ერთ-ერთ უპირველეს მიზნად ისახავს ეკონომიკურად გატეხოს სსრ კავშირი, გაართულოს ჩვენი ცხოვრება, საშუალება არ მისცეს საბჭოთა ხალხს მშვიდად მიხედოს თავის საქმეებს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: უთაურობა, მფლანგველობა, უდისციპლინობა ხელს აძლევს იმათ, ვისაც სურს ქედი მოგვახრევინოს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მისწრაფება გზრდიდეთ მუშაობის ეფექტიანობას, ვუმჯობესებდეთ მის ხარისხს, ვაღწევდეთ დაჩქარებას, ყოველი მშრომელისათვის არა მარტო სამეურნეო, ზნეობრივი, არამედ პოლიტიკური ფაქტორიც უნდა გახდეს.

თბილისელ ელმავალმშენებლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაამეცნონ მეცადინეობა პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული აღმშენებლობის დაძაბული პროგრამების განხორციელებისათვის. გააქტიურონ თავისი მუშაობა ნოვატორებმა, რომლებმაც მიზნად დაისახეს შემცირონ პროდუქციის თვითღირებულება. მთელი რიგი საწარმოო ქვეგაანყოფების მრავალცვლიან მუშაობაზე გადასვლამ გაზარდა მოწყობილობის უტილიზება, მკაცრად გვაქვს აღნუსხული ყოველი ტონა ლითონი, ყოველი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ვიცით: უნდა ვიშრომოთ უკეთ, რათა ქარხნის საყვირის მშვიდობიან ხმას არ წყვეტდეს საგანგაშო სირენების ხმა.

ქიშვარდი ყანდიაშვილი,
თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ზეინკალთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

მსოფლიო — შიარაღო!

დიდი ყურადღებით მოვისმინეთ მე და ჩემმა ამხანაგებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება, რომელიც საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის დამაჯერებელი, მკაფიო დადასტურებაა. მასში ლაპარაკია პრობლემებზე, რომლებიც აღელვებს ყველას, მთელ კაცობრიობას.

ორმოციან წლებში სსრ კავშირი და შეერთებული შტატები მოკავშირეები იყვნენ ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. ამიტომ განსაკუთრებით გულს გვტკივნს ჩვენ, უფროს თაობას, რომელმაც გადაიტანა მეორე მსოფლიო ომის მთელი სიმძიმე, როცა ვხედავთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას არ სურს საქმით უპასუხოს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს, გამოეხმაუროს ჩვენს წინადადებას, ორმხრივ საფრთხეს ზღვრავს მსოფლიო, შეიკვეცოს მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოება.

მე და ჩემს თანასოფლელებს გვსურს, რომ ჩვენი ბავშვები, მთელი პლანეტის ახალგაზრდობა მონაწილეობდეს მხოლოდ მშვიდობიან, კაცობრიობის საკეთილდღეო აღმშენებლობითს შრომაში. წლითწლობით იზრდება ჩვენი მეურნეობის წარმატებები. უახლოეს დროში ეაპირებთ ერთიორად და მეტად დავაჩქაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპი. საგარეჯოს რაიონში ბრიგადული იჯარის ათვისების ერთი პიონერთაგანი ვიყავით. ამის შედეგად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მეურნეობა მოწინავე გახდა. მაშ, რატომ გვემუქრებოდეს ვინმე ომით, ცდილობდეს მიწასთან გაასწოროს ჩვენი შრომის ნაყოფი?

მორატორიუმს ვადა გაუგრძელდა. და ეს იმ პრობლემის კომპრომისული გადაწყვეტის ძიების საუკეთესო დადასტურებაა, რომელიც აწუხებს მთელი პლანეტის ადამიანებს.

დიმიტრი კევლიშვილი,
საგარეჯოს რაიონის გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე, ომისა და შრომის ვეტერანი.

მეცნიერებს აქტიშრობა მართებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებამ, რომელიც მან საბჭოთა ტელევიზიით გამოსვლისას გააკეთა, ჩაფიქრა პლანეტის ყველა ადამიანი მსოფლიოს ბედზე, მთელი კაცობრიობის მომავალზე. გადაწყვეტილება, ვადა გაუგრძელოს ბირთვული აფეთქების ცალმხრივ მორატორიუმს, ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ურყეობის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა. ჩვენ, ექიმები, ყველაზე პუმანური პროფესიის წარმომადგენლები, სულითა და გულით ვუჭერთ მხარს ამ გადაწყვეტილებას.

ექიმის ვალია მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყოს. მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის ასათასობით მედიკოსი მონაწილეობს პროგრესულ საერთაშორისო მოძრაობაში „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლი მსოფლიოს ექიმები“. ამ ორგანიზაციის ყველა კონგრესსა და თათბირზე მესმოდა მტკიცე სიტყვები: „არ გვსურს გამალებული შეიარაღება“, მთელი პლანეტის ადამიანებისადმი მღელვარე მოწოდებანი, ერთიანი ფრონტით გაილაშქრონ ოფიციალური ვაშინგტონის სახიფათო კურსის წინააღმდეგ, თავიდან აიცილონ ყოველივე სულდგმული ბირთვული მოსპობის საფრთხე.

ბირთვული ომი რომ დაიწყოს, იგი ხომ გლობალური გახდება და გამოიწვევს კაცობრიობის ცივილიზაციის დაღუპვას. ამ საფრთხის გამო უაღრესად საჭიროა კეთილი ნების ადამიანების შეკავშირება და ერთიანობა. გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ შეთხზმების მიღწევა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანაა. მიგვაჩნია, რომ ასეთი შეთანხმებანი უაღრესად აქტუალურია. ბირთვული ომის გაჩაღების საშიშროება უდიდეს საფრთხეს უქმნის კაცობრიობის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ეს მკაცრი სიმართლე უნდა იცოდეს ყველამ, რათა არ დაუშვან კატასტროფა.

ნოდარ ყიფშიძე,
„ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ ექიმთა“ საბჭოთა კომიტეტის საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.



ავაცილოთ ჰლანეტას საფრთხე

ვიხსნათ დედამიწა ბირთვულ ხანაში ატომური დაღუპვისაგან — ეს საკაცობრიო ამოცანაა, ყველა ხალხის საქმეა. საბჭოთა ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადების ეს სიტყვები ეხმიანება საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის ფიქრებსა და მისწრაფებებს. გაახანგრძლივა რა ბირთვული გამოცდის ცალმხრივი მორატორიუმი, საბჭოთა კავშირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რაოდენ ესწრაფვის დაძაბულობის შენელებას, საყოველთაო და ყოვლისმომცველ განიარაღებას.

ომის საფრთხეს ჩვენი ქვეყანა უპირისპირებს გონივრულ ალტერნატივას — მტკიცე და სამართლიან მშვიდობას, სამხედრო არსენალების შემცირებასა და შემდგომ მოსპობას, ატომური პოლიგონების გაუკაცრიელებას, თქვა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივის მიტინგზე გამოსვლისას საპარატო საამქროს ზეინკალმა ე. სიხარულიძემ. მშვიდობისმოყვარული საბჭოთა ინიციატივების დროულობასა და დიდ მნიშვნელობას მოწმობს მოწონებისა და მხარდაჭერის სიტყვები, რომლებიც პლანეტის ყველა კუთხიდან მოისმის, თქვეს მიტინგზე გამოსვლის დროს კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ზ. ნასკანმა, ომისა და შრომის ვეტერანმა ე. გელაშვილმა და სხვებმა.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა რესპუბლიკის ათობით სხვა შრომითს კოლექტივში. მიტინგის მონაწილეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას მისცენ ამერიკის ხელმძღვანელობას“ კიდევ ერთი შანსი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე.

ახალი საბჭოთა მორატორიუმი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების დასტურია, და არა სისუსტისა. აყენებს რა მშვიდობის მორიგ წინადადებას, ჩვენი ქვეყანა ამასთანავე როდი აპირებს დათმოს თავისი მოკავშირეების უშიშროება.

მშვიდობის განმტკიცება შეუძლებელია, თუ დაჩქარებით არ განვავითარეთ სახალხო მეურნეობა, არ მივაღწიეთ წარმოების მოწინავე მიჯნებს.

იმპერიალიზმი, რომელიც თავს გვახვევს ძვირადღირებულ გამალებულ შეიარაღებას, ოცნებობს იმაზე, რომ ეკონომიკურად გაწყვეტოს წელში საბჭოთა საზოგადოება, გაგვიძნელოს გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტა, აღნიშნა თბილისის კამოელ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ გამართულ მიტინგზე გამოსვლისას მქსოველმა გ. გოცირიძემ. სწორედ ამატომ, თქვა მიტინგის მონაწილემ, ომისა და შრომის ვეტერანმა რ. ჩეკურაშვილმა, ყოველი მშრომელის ამოცანა უნდა გახდეს დიდნაყოფიერი კეთილსინდისიერი შრომა, საუკეთესო საბოლოო შედეგის მიღწევა ნაკლები ხარჯებით, გამუდმებული ძიება და არსებული რეზერვების საქმეში მოქცევა, ფართო გადასვლა მრავალცვლიან მუშაობაზე.

დამკვრელური შრომით დავუჭიროთ მხარი ახალ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივას—ასე გადაწყვიტეს მიტინგზე საქართველოს დედაქალაქის ავიამშენებლებმა. მრავალათასიანმა კოლექტივმა, რომელიც ცნობილია საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით, არაერთგზის რომ დადასტურებულა საგულისხმო თაოსნობებით, გამოთქვა მზადაყოფნა კიდევ უფრო მეტად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, ყოველ სამუშაო დღეს მიაღწიოს უდიდეს ეფექტიანობას. ინჟინერმა ლ. აფხაიძემ, საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მ. კორძაძემ, მიტინგის სხვა მონაწილეებმა ქარხნის მშრომელთა სახელით მხურვალედ დაუჭირეს მხარი ბირთვული გამოცდის ემბარგოს გახანგრძლივების გადაწყვეტილებას და გამოთქვეს რწმენა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ადამიანები, პოლიტიკური წრეები, საერთაშორისო საზოგადოებრიობა დირსეულად დააფასებენ სსრ კავშირის თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ შეიმუშავა.

ბირთვული გამოცდის მორატორიუმის გახანგრძლივების თაობაზე ჩვენი ქვეყნის ახალი გადაწყვეტილების მხარდასაჭერად მიტინგები გაიმართა გუშინ „მოონის“ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტსა და ქარხანაში, „ქართული ფილმის“ კინოსტუდიაში, „თბილისგვარაბმშენის“ სამმართველოში, № 3 სახლთსაშენებელ კომბინატში, გაერთიანება „ელექტროაპარატში“, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზმელსაწყოში“, ავეჯის გაერთიანება „განთიადში“, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში, თბილისის ბეურ სხვა შრომითს კოლექტივში.

(საქინფორმი).

სურათებზე: მიტინგი თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებაში; ტრიბუნაზეა ბრიგადირი ქიშვარდი ყანდიაშვილი.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

ნუთუ „ჩერნობილი“ შემაშფოთებელი გაკვეთილი არ არის?!

არ შეიძლება „ეუღლვებელი, გულგრილი დარჩე, როცა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას ეცნობი. საბჭოთა ხალხისა და სოციალისტური სამყაროს, მთელი პლანეტის ბედისათვის განუსაზღვრელად დიდი პასუხისმგებლობით არის მასში დასაბუთებული ბირთვული და ყველა სხვა სახის იარაღის გამალებული დამზადებისა და დაგროვების საფრთხეც და ამაოებაც, ნაჩვენებია ერთადერთი გზა შეიარაღებული მსოფლიოდან უიარაღო მსოფლიოსაკენ.

ბოლო დროს, განსაკუთრებით ჩვენი სამშვიდობო კონსტრუქციული წინადადებების შემდეგ, ხშირად ვფიქრობ, ნუთუ ამერიკელი ხალხი ვერ დაუოკებს რ. რეიგანის ადმინისტრაციას იმპერიულ ამბიციებს, ნუთუ საღ აზრსა და რეალურ საქმეს „შიშის წონასწორობას“ არჩევენ, ნუთუ „ჩელენჯერი“ და ჩერნობილი მწარე გაკვეთილი არ არის ყველასათვის, ვინც დიქტატის უიმედოდ განწირული პოლიტიკის გამო, საკომანდო პოზიციების ხელში ჩაგდების მიზნით ცეცხლს ეთამაშება, ნგრევის სტიქიას და ლეიკემიას არ ეპუება.

მე პარტიის XXVII ყრილობის დელეგატი ვიყავი. ჯერ კიდევ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების მოსმენისას დავიწმუნდი და ახლა, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის განცხადების შემდეგ უეჭველ, გარდუვალობად მიმაჩნია, რომ დადგა დრო, როცა მსოფლიოს მშვიდობისმოსურნე ძალები უნდა გაერთიანდნენ, ხალხები აღდგნენ და გააუნებელყონ დაღუპვის ბერკეტები, რომლებზეც ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულ დაჯგუფებას დედამიწის შეგორება სურს.

ჩვენ კი, საბჭოთა ადამიანებმა, ჩვენი ცდა და მონდომება უნდა გავაორკეცოთ, ვიშრომოთ პატიოსნად და მუხლმოუღლელად, რათა ვამრავლოთ და განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება ისტორიული მისიისათვის — ვიხსნათ კაცობრიობა ბირთვული საფრთხისაგან.

თამაზ სპანდერაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

19 აგვისტოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ცენტრალური იდეოლოგიური უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი. აქ განიხილეს საინფორმაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები საბჭოთა ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებასთან დაკავშირებით.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი. მის გამოსვლაში აღინიშნა, რომ ცალმხრივი მორატორიუმის გახანგრძლივების გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოთა კავშირი ამით ხელმძღვანელობდა, რომ ასეთი ღონისძიება, თუ მას მხარს დაუჭერენ სხვა ბირთვული სახელმწიფოები, ხელს შეუწყობს საერთაშორისო კლიმატის გაუმჯობესებას, განამტკიცებს ნდობას სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტა ხალხებს ჩაუსახავს იმედს, რომ გამალებული ბირთვული შეიარაღება შეიძლება შეჩერდეს, გააადვილებს ბირთვული იარაღის შემცირების თაობაზე შეთანხმებათა მიღწევას, სტიმულს მიანიჭებს განიარაღების მთელ პროცესს.

საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივი მორატორიუმის გახანგრძლივება ამერიკის ადმინისტრაციას აძლევს კიდევ ერთ შანსს საიმისოდ, რომ სერიოზულად აწონ-დაწონოს მთელი ის საშიში შედეგები, რომლებიც მოჰყვება ბირთვული გამოცდის განგრძობას. ვაშინგტონს მართებს გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და სახელმწიფოებრივი სიბრძნე, რათა ხელი აიღოს გამალებული ბირთვული შეიარაღების, ცალმხრივი სამხედრო უპირატესობის მიღწევის კურსზე.

მორატორიუმის საკითხს განუყრელად უკავშირდება ისეთი ფართო მასშტაბის საბჭოთა ინიციატივები, როგორიც არის მიმდინარე საუკუნის დამლევამდე ბირთვული განიარაღების პროგრამა, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში უშიშროებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფის წინადადებანი, ევროპაში ატლანტიკიდან ურალამდე შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი იარაღის შემცირების ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ერთად წამოაყენეს ვარშავის ხელშეკრულების წევრმა სახელმწიფოებმა, საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის კონცეფცია.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა სკკპ XXVII ყრილობაზე შემუშავებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთიანობა, თქვა, რომ დაჩქარებისა და განახლების რევოლუციური სტრატეგიის რეალიზაციის გზით გადადგმულ ყოველ ნაბიჯს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის — რეალიზმის, მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის წარმატებისათვის.

თათბირზე მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ბ. ნ. დემიჩევი და ბ. ნ. ელცინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. ვ. ზიმიანინი, ვ. ა. მედვედევი და გ. პ. რაზუმოვსკი. (საკდესი).

ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი დასასვენებლად გაემგზავრა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან დასასვენებლად გაემგზავრა.

(საკდესი).

კონტროლზეა ტემპი და რიტმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამოთვლითი ცენტრის ოპერატიული მონაცემებით, 14 აგვისტოსათვის სამრეწველო წარმოების ერთი თვის გეგმა რესპუბლიკაში 42,7 პროცენტით შესრულდა. თუმცა მაჩვენებელი დიდი არ არის, მაინც მოსალოდნელია, რომ აგვისტოს გეგმა 37-38 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შესრულდება. რაც შეეხება რვა თვის გეგმას, როგორც ყველაფრიდან ჩანს, იგი 102 პროცენტით შესრულდება, სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი კი შეადგენს 103,4-103,5 პროცენტს. ეს რამდენადმე უკეთესია შვიდი თვის შედეგებთან შედარებით, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მრეწველობის მიერ ზრდის ტემპის დაგეგმილი დონის მიღწევას.

წინასწარი მონაცემებით, ყველა სამინისტრო, უწყება, გაერთიანება და საწარმო თავს ართმევს აგვისტოს გეგმას, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კი ასრულებს დადგენილ დავალებებსაც. ცალკეული საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელთა მოტივები, იმის შესახებ, რომ შეუძლებელია დავალების შესრულება, საკმარისად სერიოზულად არ გვეჩვენება.

ეჭვი დასაჯერებელია, მაგალითად, რომ ვერ პოულობენ რეზერვებს სულ რაღაც 18 ათასი მანეთის საჭირო ელექტროენერგიის გამოშვებისათვის თბილისის ქარხანა „გაზაპარატში“. იგივე უნდა ითქვას ისეთი საწარმოების შესახებაც, როგორიც არის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“, რომლის თვიური გეგმა 5540 ათასი მანეთია, მას კი ვერ გამოუნახავს რეზერვები დავალების შესრულებისათვის, რომლის მოცულობაც შეადგენს სულ 185 ათას მანეთს, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“ (გეგმა — 5730 ათასი, დავალება — 60 ათასი), „ჩარხმშენებელი“ (4400 ათასი და 160 ათასი), ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკა“, ქუთაისის ავტოქარხანა, საქაღალდმრეწვი, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, ჭიათურის სამთამადნო კომბინატი, ქუთაისის ლითოფონის ქარხანა და სხვ.

მძიმე მრეწველობის, კერძოდ, მანქანათმშენებლობის, ქიმიისა და სხვა საწარმოები დავალებას აკლებენ 2.669 ათას მანეთს. ეს სხვაობა ნაწილობრივ იფარება ცალკეული საწარმოების მიერ დადგენილი დავალების 296 ათასი მანეთის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე. მაგრამ 920 ათას მანეთს დააკლებს დავალების მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, 700 ათას მანეთს — საქჰიდროენერგომშენი, 80 ათას მანეთს — კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. მთლიანად კი რესპუბლიკაში დავალების შესრულებას დააკლდება 6,2 მილიონი მანეთი.

ამავე დროს დიდ ეჭვს იწვევს, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი დანაპირებს არ უფალატებს და შეასრულებს გეგმებსა და დავალებებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 14 აგვისტოსათვის უკვე გამოყენებულია სამუშაო დროის ერთი თვის ფონდის 46,2 პროცენტი. განსაკუთრებით შეშაფოთებელი მდგომარეობა შეიქმნა გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ისეთ საწარმოებში, როგორიც არის „საქელექტრომანქანა“, „საქსოფლმანქანა“, სოხუმის ქარხანა „გაზაპარატი“, ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებლების ქარხანა, ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელი“, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრანქტორების ქარხანა, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“ და სხვები.

როგორც ჩანს, ამ საწარმოების ხელმძღვანელები, კაცმა რომ თქვას, პარტიის შესაბამისი საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელები ამეედოვნებენ, რომ თვის დამლევს იერიშის მიტანით შეასრულებენ ერთი თვის გეგმებსა და დავალებებს. მაგრამ როგორი იქნება გეგმის ასეთი შესრულების ფასი და, რაც მთავარია, როგორი იქნება საწარმოო პროდუქციის ხარისხი?

რესპუბლიკის 64 რეგიონიდან მხოლოდ 15-ს აქვს გეგმის შესრულების უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე სამუშაო დროის ფონდის გამოყენებაა. მათ შორის არის აჭარის, ახალციხის, ქალაქი გორი, ახმეტის, ვანის, გარდაბნის, მცხეთის, სამტრედიის, ხობის და ცხაკაიის რაიონები, სადაც ერთი თვის გეგმა 46 და მეტი პროცენტით შესრულდა. ბოგდანოვკის, ლანჩხუთის, მახარაძის, საჩხერის, თელავისა და ჩოხატაურის რაიონებში კი გეგმის შესრულების მაჩვენებელი 30 პროცენტსაც ვერ აღწევს.

პრაქტი

ხილი—ყველას და უხვად

გორში გაიმართა მეხილეთა რესპუბლიკური თათბირი, რომლის მონაწილეებმაც განიხილეს მიმდინარე წელს ხილის დამზადებისა და გადამუშავების ღონისძიებანი. თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს მეხილეობის რაიონების პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეები, მეხილეობის მეურნეობათა დირექტორები და თავმჯდომარენი, გადამუშავებელი დარგის წარმომადგენლები და მეცნიერი მუშაკები.

გეგმა-ვალდებულება უთუოდ უნდა შესრულდეს

მეხილეობის ინტენსიური განვითარება, როგორც თათბირზე აღინიშნა, რესპუბლიკაში დაიწყო მას შემდეგ, რაც 1977 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს შესაბამისი დადგენილება. გადაწყვეტილების მიღებიდან განვლილ პერიოდში მეურნეობებმა ამორტიზებული და უპერსპექტივო ბაღების ადგილას გააშენეს 14 ათასი ჰექტარი ხეხილი. ამავე დროს განსავლობაში შვიდი პროცენტით გაიზარდა მოსავლიანობა. ამჟამად რესპუბლიკაში ყველაფერი კეთდება ხილის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის.

დადებითი, მაგალითები მრავლად არის. ამ მხრივ სანიმუშო შედეგებს მიაღწიეს გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში, ტყვიავის კოლმეურნეობასა და გორის საექსპერიმენტო საბჭოთა მეურნეობაში. უნდა ითქვას, რომ აქ 1985 წლიდან ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 102, 162 და 206 ცენტნერ ხილს იღებდნენ. მთავარი ის არის, რომ ამ მეურნეობათა ხელმძღვანელები და მშრომელები ისწრაფვიან ახლებურად იმუშაონ, იციან საქმე, შეძენილი აქვთ ძვირფასი გამოცდილება. თავიანთი მაჩვენებლებით ეს მეურნეობები მარტოოდენ გორის რაიონში კი არა, მთელ რესპუბლიკაშიც გამოირჩევიან. ამიტომ, როგორც თათბირზე აღინიშნა, საჭიროა განზოგადდეს და რაც შეიძლება მალე დაინერგოს მათი გამოცდილება.

ამავე დროს მოწინავე მეურნეობათა რაოდენობა, სამწუხაროდ, არ იზრდება. ვერავითარი სტიქიური უბედურება ვერ იქნება იმის გამამართლებელი ხაბუთი, რომ მთლიანად არ შესრულებულა ხილის დამზადების გეგმები მეთრთმეტე ხუთწლეულში: ჩამოარჩენამ 423 ათასი ტონა შეადგინა. აქედან მარტო შარშან — 90 ათასი ტონა.

როგორც 1985 წლის შედეგებიდან ჩანს, მეხილეობის 56 რაიონიდან 36-მა დაგეგმილზე გაცილებით ნაკლები მოსავალი მიიღო. მათ შორისაა ისეთი რაიონები, როგორიც არის ახალციხისა, სადაც 1.166 ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 17,8 ცენტნერი. ადიგენისა — 470 ჰექტარზე — 13,8 ცენტნერი, დუშეთისა — სულ 11,9 ცენტნერი ხილი ჰექტარზე, ასპინძისა — 14,4 ცენტნერი ჰექტარზე. დიდ შეშფოთებას იწვევს ხეხილის ბაღების მდგომარეობა კახეთის და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, რომლთა პროდუქტიულობა დასაშვებ მინიმუმზე გაცილებით ნაკლებია. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში ჰექტარზე კრეფენ სულ 4 ცენტნერ ხილს, ესე იგი, ძირზე დაახლოებით ოთხ კილოგრამს. თითქმის ამდენივე, ჰექტარზე ოთხი-ხუთი ცენტნერი მიიღეს წულუკიძის, დმანისისა და ზუგდიდის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში. რაც შეეხება, თიანეთის რაიონს, აქ 164 ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 1,2 ცენტნერი. მაჩვენებლები ყოველად გაუმართლებელია. და მიზეზი, ბუნებრივია, უნდა ვეძებოთ ადამიანებში, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან მიწას, დაკისრებულ საქმეს.

უკანასკნელ ხანს, აღინიშნა თათბირზე, გავრცელდა მცდარი აზრი, თითქოს მეხილეობა უპერსპექტივო იყოს, მაგალითად, კახეთის რაიონებში — ოდითგან მევენახეობის რეგიონში. და ეს იმ დროს, როდესაც თვით გურჯაანის რაიონში, რომელიც სამართლიანად ითვლება მევენახეობის ბაირახტრად, ყოველ ჰექტარზე წლების მანძილზე კრეფენ 55-60 ცენტნერ ხილს. ყოველად გაუმართლებელია ხეხილის ამოძირკვის პრაქტიკა, რომელიც ამ ბოლო დროს მოიკიდა ფეხი. ასეთი ტენდენციები შეიმჩნევა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივ მეურნეობებშიც (სადაც წარსულ ხუთწლედში ჩამოიწერა 874 ჰექტარი ბაღი, ხოლო ამ ცოტა ხნის წინ ითხოვეს ნებართვა გაეჩეხათ კიდევ 500 ჰექტარი), აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, გორის, გარდაბნის, დუშეთის, სამტრედიის, ბორჯომის, ლაგოდეხის, ქთელი რიგი სხვა რაიონების მეურნეობებში.

მეხილეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ხილის გაგზავნას საერთო-საკავშირო ფონდში. როგორც აღინიშნა, ამ მიმართულებით დიდი და ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული. წლეულს გათვალისწინებულია საერთო-საკავშირო ფონდში გაიგზავნოს 145 ათასი ტონა ხილი. 64 ათასი ტონა უნდა გაგზავნონ საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, ხოლო 81 ათასი ტონა მოსახლეობაში უნდა იქნეს შესყიდული. გეგმის შესრულებისას, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხარისხს. — ეს ხომ წლევანდელი ალოობის დეფიზია. ხეხილის ბაღების უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წილი სულ ცოტა 60-70 პროცენტს უნდა შეადგენდეს.

დღის მოთხოვნების დონეზე უნდა ავიყვანოთ გადამმუშავებელი მრეწველობის, კერძოდ, რესპუბლიკის საკონსერვო ქარხნების მუშაობა, მიმდინარე სეზონში ხომ მათ 244 ათასი ტონა ხილი უნდა გადამუშაონ. ფრიად შთამბეჭდავი ციფრია.

ჯეროვანი პასუხისმგებლობით უნდა მივუდგეთ საცავებში ხილის შენახვის საქმეს, რათა შეუფერხებლად უზრუნველყოთ თბილისისა და რუსთავის, რესპუბლიკის დიდი სამრეწველო ცენტრებისა და საკურორტო ზონების მცხოვრებნი ზამთრის პერიოდში. ამასთან დაკავშირებით კრიტიკულად შეფასდა ზოგიერთი მეურნეობის წინა წლების მუშაობა. რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები თათბირზე მკაცრად გაგაფრთხილეს, ვინაიდან შარშან უკონდიციო ხილის შენახვის გამო საჭირო გახდა მათი ნაადრევი რეალიზაცია.

ამიტომ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელმა მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმაროს მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტას.

მეხილეთა რესპუბლიკური თათბირის დასასრულს მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ შინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ გ. დ. მგელაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და მისი შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ჭითანავამ.

(საქინფორმი).

ქვაკუთხედი—აგრომრეწვი

ქვითარი მომჭირნეობის დოკუმენტია

დანინის რაიონის გომარეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატმა შარშან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყველა სახეობის პროდუქციის მიყიდვის დავალება.

წარმატებაში გადამწყვეტი იყო მეურნეობის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა, კოლექტიური იჯარის ფართოდ დანერგვა, მატერიალური საშუალებებისა და ფულადი სახსრების გამოყენებისადმი კონტროლის ქვითრის შემოღება.

— როგორია ამ სიახლის არსი? ამ შეკითხვაზე მეურნეობა-კომბინატის დირექტორმა ვ. ჯალიძემ თქვა: — სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის ცნობილია ის რთული სიტუაცია, როცა თითქოს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ შრომაში წარმატებას მივაღწიონ, მაგრამ მოსალდნელი შედეგი კი არ ჩანს. ჩვენს მეურნეობაშიც ასე მოხდა, როცა სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის მასობრივად დანერგვა დავიწყეთ. ყველა საწარმოო უბანი გადავიყვანეთ შრომის ორგანიზაციის პროგრესულ ფორმაზე. მნიშვნელოვნად გამტკიცდა შრომის დისციპლინა, წესრიგი, იმატა მოსავალმა და ფერმების პროდუქტიულობამ. შედეგების მორიგი განხილვის დროს მეცხოველეობის ფერმის ერთ-ერთ მერგოლურს ვ. სამადაშვილს შევეკითხეთ: რატომ ხდება, რომ მეცხოველეობის კომპლექსში ხარჯები ნორმატიულზე მეტია? იგი საკმაოდ გამოცდილი მუშაკია, მაგრამ რა შეეძლო ეპასუხა მას? თანხების გადახარჯვის ამბავი ხომ მხოლოდ ორიოდე დღის წინათ შეიტყო მეურნეობის ეკონომიკური დარგის მუშაკებისაგან, თანაც მას არც დაგეგმვაში მიუღია მონაწილეობა, არც კონტროლი გაუწევია და არც უანგარიშია. ეს არც ეკვლებოდა.

— ასეთმა წინააღმდეგობებმა მიგვიყვანა — ექამდე, — განაგრძობს მეურნეობის თავკაცი, — რომ დაგვეხერგა ხარჯებისადმი კონტროლის ქვითრის ერთიანი სისტემა, ეკონომიკურმა სამსახურმა მოამზადა საჭირო დოკუმენტაცია, სათანადო კორექტურა შეიტანა აღრიცხვის სისტემაშიც, ხოლო მეურნეობის პირობებისა და დარგების მიხედვით შეიმუშავა ქვითრების ტიპური დებულება, ერთიანი საგეგმო-საანრიცხვო ფასების კრებულები სხვადასხვა მატერიალური რესურსებისა და მომსახურებისათვის, რომლებსაც ერთმანეთს უწევენ შიგასამეურნეო შეგებანაყოფები. ყველა ეს მასალა დაურიგდა თითოეულ საწარმოო ერთეულს. თუმცა არც ეს აღმოჩნდა საკმარისი კონტროლის ქვითრის დანერგვისათვის. მოკლე დროში მოგვიხდა კადრების მომზადება: საშუალო რგოლის ყველა სპეციალისტმა და ხელმძღვანელმა, ალრიცხველებმა, მეკუმბავეებმა ეკონომიკური სწავლების სისტემაში, კომუნისტური შრომის სკოლებში, სპეციალურ კურსებზე საფუძველიანად შეისწავლეს შიგასამეურნეო დაგეგმვის, კონტროლისა და ანალიზის მეთოდიკა, პრაქტიკულ ხდა შესაძლებელი. შარშან მისმა მეცადინეობებზე, რომელიც ნიკოლოზ ... ...

კაცობრიობის სასიკეთოდ

საზღვარგარეთის გამოხმაურება ახალ საბჭოთა პოლიტიკურ ინიციატივაზე

მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პროგრესული, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ყველა კეთილნების ადამიანი ცხოველი ინტერესით ეხმაურებიან და იწონებენ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას 1987 წლის 1 იანვრამდე გააგრძელოს ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმი.

◆ პრაღა

„მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის“ — ასეთი სათაურით განმარტავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას საბჭოთა ტელევიზიით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი **„რუდე პრავო“**. სსრ კავშირის ახალი ინიციატივა, აღნიშნავს გაზეთი, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. იგი იძლევა ახალ შანსს თავიდან ავიცილოთ ბირთვული საფრთხე, კაცობრიობას რომ ეშუქრება. საბჭოთა კავშირმა კვლავ დაადასტურა, რომ მშვიდობის შენარჩუნება, ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრა მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანია.

ახალ საბჭოთა ინიციატივას უდიდესი მამობილებელი ძალა აქვს ყველა მშვიდობისმოყვარე ორგანიზაციასა და მოძრაობისათვის ჩვენს პლანეტაზე. ჩეხოსლოვაკიელი ხალხი მთლიანად უჭერს მხარს და მიესალმება საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას ვადა გაუგრძელოს ბირთვული გამოცდების ცალმხრივ მორატორიუმს. ამ გადაწყვეტილებაში ჩვენ ვხედავთ კიდევ ერთ ნაბიჯს ისეთი მსოფლიოსაკენ, რომელსაც არასოდეს დაემუქრება ბირთვული ომის ხანძარში დაღუპვა, დაასკვნის „რუდე პრავო“.

◆ ბუდაპეშტი

საბჭოთა კავშირის ახალი გადაწყვეტილება, წერს **„ნეფსაბადშაგი“**, ნაკარნახევია ჩვენი პლანეტის სვე-ბედისათვის ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით, მისწრაფებით თავიდან ააცილოს მსოფლიოს ბირთვული კატასტროფის საფრთხე. საბჭოთა ხელმძღვანელმა მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს კიდევ ერთხელ მიუკერძოებლად შეიფასოს შექმნილი ვითარება, თავიდან მოიშოროს ყოველივე დანაშრეკი, დაძლიოს ცდომილება საბჭოთა კავშირისა და მისი საგარეო პოლიტიკის მიმართ. საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ შეთანხმებას ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ შეიძლება სწრაფად მიაღწიონ და მას უკვე წელს მოაწერონ ხელი საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის. ეს მოვლენა, უეჭველია, შეხვედრის მთავარი რეალური შედეგი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა გამაღლებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე.

◆ კეპინი

სინხუას სააგენტო გადმოსცემს, საბჭოთა ხელმძღვანელმა მ. ს. გორბაჩოვმა გამოაცხადა, რომ მისი ქვეყანა ვადას გუგრძელებს ბირთვული გამოცდების ცალმხრივ მორატორიუმს 1987 წლის 1 იანვრამდე. როგორც მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ შეთანხმებას ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ შეიძლება სწრაფად მიაღწიონ და ხელი მოაწერონ მას საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე. ასეთი შეთანხმება, თქვა გენერალურმა მდივანმა, შეხვედრის მთავარი შედეგი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა გამაღლებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე.

◆ ვაშინგტონი

თეთრი სახლის წარმომადგენელმა თავდაჯერებულ ტონით თქვა, ამერიკის გადაწყვეტილების შეფასებას და განაცხადა, თეთრ სახლში მ. ს. გორბაჩოვის განცხადების ტექსტი „ჯერჯერობით არ უნახავთო“. ამავე დროს მან თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ბირთვული აფეთქების მორატორიუმთან შეერთების საკითხში არ შეცვლილა, ვინაიდან ბირთვული გამოცდების მორატორიუმი, თითქოს, „არ შეესაბამება შეერთებული შტატების, მისი მეგობრებისა და მოკავშირეების ინტერესებს“, და რომ „ბირთვული გამოცდები ამერიკის შეერთებულ შტატებს სჭირდება ბირთვული შეკავების ეფექტიანი ძალების უზრუნველსაყოფად“.

ამავე დროს **სი-ენ ენის ტელეკომპანიამ**, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელის გამოსვლას გადასცემდა, მას უწოდა „სსრ კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგარეო-პოლიტიკური განცხადება ამ ბოლო ხანს“. ის, რომ მ. ს. გორბაჩოვს შესაძლებად მიაჩნია ბირთვული აფეთქების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა უმაღლესი დონის შეხვედრაზე, მოწმობს, რომ მას სურს ამ შეხვედრაზე მიაღწიოს შეთანხმებას შეიარაღებისადმი კონტროლის სფეროში, აღნიშნავს ტელეკომპანია. მაგრამ, როგორც ჩანს, რეიგანის ადმინისტრაციას არა აქვს ასეთი მისწრაფება. **ენბი-სის ტელეკომპანიის** აზრით, საბჭოთა კავშირმა, რომელმაც გააგრძელა ბირთვული აფეთქების მორატორიუმში მომავალი წლის იანვრამდე, აიძულა ამერიკის შეერთებული შტატები დაიკავოს თავდაცვითი პოზიცია. სსრ კავშირის მცოდნე სპეციალისტები მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას პოლიტიკაში შთამბეჭდავ ნაბიჯს უწოდებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს განცხადება საეჭვოს ხდის შეერთებული შტატების პოზიციას შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხში.

◆ ნიუ-იორკი

„საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმის ვადის გაგრძელება აღმოფრთოვანებელი ახალი ამბავია ყველა ამერიკელისათვის, ვისაც კი გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტა სწადია“, განაცხადა ლს-ვეგასში (ნევადის შტატი) საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ამერიკენ პის ტსტის“ ეროვნულმა კოორდინატორმა ჯესი ჯოქსმა.

„ეს საბჭოთა ხელმძღვანელობის ბრძნული ნაბიჯია, — თქვა მან, — რომელიც უეჭველად ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში ბირთვული იარაღის გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვისათვის. მოძრაობის გაძლიერებას. ახლა მთავარია ვაიძულოთ რეიგანის ადმინისტრაცია მხარი დაუჭიროს საბჭოთა ინიციატივას. ამიტომ გადაწყვიტეთ გავაქტიუროთ საპროტესტო გამოსვლები, რომლებსაც „ამერიკენ პის ტესტის“ ორგანიზაცია აწყობს ნევადის შტატის ბირთვული პოლიგონის შესასვლელთან. სექტემბრის დამდეგს ადმინისტრაცია იქ აპირებს მორიგი ბირთვული აფეთქების მოწყობას კოდური სახელწოდებით „ჰალვესტოუნი“. ჩვენ კვლავ მივალთ პოლიგონის შესასვლელთან და მოვაწყობთ მოქალაქეობრივი ურჩობის კამპანიას. ჩვენ არ გვეშინია, დაპატიმრებისა, როცა საქმე ეხება ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის დაცვას“, — დასძინა საზოგადო მოღვაწემ.

◆ ბონი

მოსკოვმა მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ყურად იღონ გონიერების ხმა და გამოიყენონ ისტორიული შანსი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მორიგებათა მისაღწევად, აღნიშნა **ცდფ ტელეპროგრამის** წამყვანმა.

მეგობრობის მიტინგი

საბჭოთა დელეგაცია

მადრასში

მადრასი. (ტამილნადის შტატი), ინდოეთში გრძელდება ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების 15 წლისთავსა და რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 39 წლისთავს.

მიტინგები, კრებები, გამოფენები, საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრები ეწყობა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღესასწაული ფართოდ აღინიშნება სამხრეთ ინდოეთის ტამილნადის შტატში, რომლის მცხოვრებნი ახლა გულთბილად მასპინძლობენ საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაციას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ს. ბ. ტატლიევის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა და თანამშრომლობა ემყარება მსოფლიო პრობლემებზე შეხედულებათა ერთიანობას, სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ძირითადი პრინციპების ერთგულებას, განაცხადა საბჭოთა დელეგაციასთან შეხვედრაზე გამოსვლისას ტამილნადის შტატის გუბერნატორმა ს. ლ. ქურანამ. ამ მეგობრობამ კონკრეტული გამოხატულება პოვა პრინციპულ პოლიტიკურ მხარდაჭერაში, რომელსაც სსრ კავშირი უწევს იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ, თქვა მან. ინდოეთის ხალხთა მეგობრულ ურთიერთობას დიდი შეფასება მისცეს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის ფონდის მონაწილეებმა, რომელიც აქ გაიმართა საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების ინიციატივით. სსრ კავშირის ახალმა სამშვიდობო წინადადებებმა, რომელთა მიზანია აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცება, ფართო მხარდაჭერა პოვეს ინდოეთში, ხაზგასმით აღნიშნა მიტინგზე გამოსვლისას ტამილნადის შტატის მთავრობის მთავარმა მინისტრმა მ. გ. რამაჩანდრანმა.

● იაპონია

მოჩვენებითი შეშფოთება

ტოკიო. „მოჩვენებითი შეშფოთების გამოვლინება“ უწოდა გაზეთმა „ასაჰიმ“ იაპონიის მთავრობის „დემარშს“, რომელმაც ტოკიოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს განუცხადა, რომ „იაპონია არ ცნობს მის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული იარაღის შემოტანას“.

ეს, კერძოდ, განუცხადა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამერიკის ელჩს მ. მენსფილდს იაპონის სასეანს ნავსადგურში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების სახაზო ხომალდის „ნიუჯერსის“ უახლოეს დროში მოსალოდნელ შემოსვლასთან დაკავშირებით, რომელზეც, როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, „ტომაგავკის“ ფრთოსანი ბირთვული რაკეტებია განლაგებული.

ცნობამ სასეანში ბირთვულიარაღიანი ხომალდის მომავალი შემოსვლის შესახებ ქვეყანაში აღშფოთება გამოიწვია. დაახლოებით 20 წლის წინათ იაპონიის მთავრობამ, რომელიც გამოხატავდა ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობის ომისსაწინააღმეგო განწყობილებებს, გამოაცხადა, რომ იგი იღებს ეგრეთ წოდებულ სამ „უბირთვო პრინციპს“: არ აწარმოოს, არ იქონიოს და იაპონიის ტერიტორიაზე არ შემოიტანოს ბირთვული იარაღი. ნავარაუდეი იყო, რომ ეს პრინციპები გავრცელდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვულ იარაღზეც. ამასთან იმოწმებდნენ იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, როგორც იაპონიის მთავრობა ადასტურებს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იაპონიასთან ერთად გამართოს „წინასწარი კონსულტაციები, თუ მას სურს იაპონიაში ბირთვული იარაღის შემოტანა.

მაგრამ დღემდე ამერიკის შეერთებულ შტატებს არცერთხელ არ მიუმართავს იაპონიისათვის ამგვარი კონსულტაციების მოწყობის წინადადებით, თუმცა, როგორც ამ დღეებში წერდა ავტორიტეტული იაპონური გაზეთი „მაინიტი“, შეერთებული შტატების მიერ ამ სამი პრინციპიდან ერთ-ერთის დარღვევა, რომელიც კრძალავს ბირთვული იარაღის განლაგებას იაპონიის კუნძულებზე, „საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი გახდა“. ასეთი თხოვნა აჭარბადაც არ ყოფილა.

იაპონიის მთავრობამ, რომელიც ცდილობს შეანელოს ქვეყანაში ბირთვული სიკვდილის მატარებლის შემოსვლის წინააღმდეგ პროტესტები, „თავისი ინიციატივით“ გაბედა მოეგონებინა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის „უბირთვო პრინციპები“. როგორც მოსალოდნელი იყო, მენსფილდი დასჯერდა ვაშინგტონის ძველი პოზიციის გამეორებას, რომელიც გულისხმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „არ დასტურებს და არ უარყოფს თავის ხომალდებზე ბირთვული იარაღის ქონებასა თუ უქონლობას“.

განმარტავს რა ამერიკელი ელჩის პასუხს, გაზეთი „აკაჰატა“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამგვარ ორეროფულ პოზიციას იმისათვის მიმართავს, რომ იაპონია გამოიყენოს თავისი ბირთვული გეგმებისათვის“. იაპონია, წერს იგი, უკვე დიდი ხანია მთავრობის თანხმობით გაბდა ამერიკული ბირთვულიარაღიანი ხომალდების ნავსაყუდელი. გაზეთი მოუწოდებს ქვეყნის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებას მიაღწიოს, რომ იაპონიის მთავრობამ სიტყვით კი არა, საქმით დაიცვას „უბირთვო პრინციპები, ხელი აიღოს ამერიკის შეერთებული შტატების საშიშ გლობალურ ბირთვულ სტრატეგიასთან თანამშრომლობაზე.

● ჩილე

რეჟიმი აიძულეს

გუენოს-აირესი. ჩილესა და საქართველოს საზოგადოებრიობის ზეგავლენით პინოჩეტის რეჟიმი იძულებული გახდა გაენთავისუფლებინა დემოკრატიული საზოგადოებრივი და პროფკავშირული ორგანიზაციების ოპოზიციური გაერთიანების — ეროვნული სამოქალაქო ასამბლეის 13 ლიდერი. ისინი დაამატრეს და სასამართლოში მისცეს ერთი თვის წინათ დიქტატურის წინააღმდეგ საერთოეროვნული საპროტესტო გაფიცვის მოწყობის ბრალდებით.

სანტიაგოს საამბილაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ასამბლეის ხელმძღვანელთა საწინდრით გათავისუფლების შესახებ. მათი განთავისუფლებისთანავე ეროვნულმა სამოქალაქო ასამბლეამ მოუწოდა ჩილელ ხალხს მონაწილეობა მიიღოს დიქტატურის წინააღმდეგ საპროტესტო მანიფესტაციებში, რომლებიც დამთავრდება მასობრივი მიტინგით დედაქალაქის ცენტრალურ პარკში.

● ეგვიპტე

„77 ჯგუფის“ კონფერენცია

კაირო. „77 ჯგუფის“ საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა ეგვიპტის დედაქალაქში. მის მუშაობაში მონაწილეობენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 120-ზე მეტი განვითარებადი სახელმწიფოს წარმომადგენლები. ისინი იხილავენ მათი ქვეყნების წინაშე დასახულ აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს, არსებული სიძნელეების დაძლევისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შესაძლო გზებს.

სხდომაზე გამოსულმა დელეგატებმა განაცხადეს, რომ საჭიროა დამყარდეს ახალი სამართლიანი ეკონომიკური წესრიგი განვითარებადი და ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოების ურთიერთობაში და მოითხოვეს დასავლეთისათვის განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალის გადახდის კაბალური პირობების გადასინჯვა.

● პაკისტანი

დაიწყო ახალი ეტაპი

დელი. პაკისტანის უდიდესმა ოპოზიციურმა პარტიებმა დაიწყეს ზი-ულ-ჰაკის ანტიხალხური რეჟიმის წინააღმდეგ საერთოეროვნული ბრძოლის ახალი ეტაპი.

იუნის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ისლამაბადში გამოსვლისას ,უდიდესი ოპოზიციური პარტიების ალიანსის — დემოკრატიის აღსადგენად მოძრაობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოძრაობა შეუდგა მოქმედების პროგრამის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს დემონსტრაციებს, საპროტესტო მარშებს, მიტინგებს. ისინი გაგრძელდება მანამ, სანამ ახლანდელი ადმინისტრაცია არ გადადგება. პაკისტანის რეჟიმი, თქვა მან, ამმაფრებს რეპრესიებს ქვეყანაში დემოკრატიის აღდგენისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, მაგრამ პაკისტანელი ხალხი მზად არის ბოლომდე იბრძოლოს მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლების მოსაპოვებლად.

ტერორისტული თავდასხმა

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი გაუგზავნა ირანს

ქაბული. როგორც ბახთარის სააგენტო იუწყება, ავღანეთში ირანის ისლამური რესპუბლიკის საქმეთა დროებით რწმუნებულს წაუკითხეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამახსოვრო წერილის შინაარსი.

12 აგვისტოს ღამით ირანში ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა დროებით რწმუნებულს ზიაუდინ ვაჰდათს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრებსა და თეირანში ავღანეთის საელჩოს თანამშრომელს, რომლებიც სამსახურებრივ მოგზაურობაში იმყოფებოდნენ, ქალაქების ზანჯანისა და მიანის შორის რკინიგზის გადასარბენზე თავს დაესხნენ, ნათქვამია სამახსოვრო წერილში. მართალია, ხუთივე თავდამსხმელს სახეზე ნიღაბი ჰქონდა აფარებული, მაგრამ მათი ლაპარაკიდან ცხადი გახდა, რომ ისინი ირანელები იყვნენ.

დამნაშაველებმა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით რწმუნებულს და მის თანმხლებ პირებს სცემეს და აბუჩად იგდებდნენ, იარაღით ემუქრებოდნენ. თავდამსხმელებმ ა მათ წაართვეს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დიპლომატიური პასპორტები და დოკუმენტები, პირადობის მოწმობები და ფული.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხაზგასმით არის აღნიშნული დოკუმენტში, მტკიცე პროტესტს გამოთქვამს ამ ტერორისტული აქციის წინააღმდეგ.



პოლიტიკური ნახატი

იმპერიალისტური ძალები, უწინარესად, ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები, ცდილობენ დაამყარონ, განამტკიცონ და გააფართოონ თავიანთი ბატონობა მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. მარტო აზია-წყნარი ოკეანის რაიონში ამერიკას განლაგებული აქვს ორასამდე სამხედრო ბაზა და ობიექტი. ამ რეგიონის ქვეყნები, რომელთა მეტი წილი მიუმხრობლობის მოძრაობის წევრია, გულისწყრომით გმობენ ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეების მილიტარისტულ პოლიტიკას, მოუწოდებენ გაერთიანდნენ ბირთვული ომის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პენტაგონის სახელოსნოში

(პლაკატზე წარწერილია ჯონ ფოსტერ დალესის გამონათქვამი: „მიუმხრობლობა ამორალურია“).

ჟურნალი „ბლიტცი“, ინდოეთი.

ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ ᲛᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲣᲤᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1985 წლის მესამე შრომითს სემესტრში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „ხოდარ ნოდია“; საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მ. გელოვანის სახელობის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „საქართველო-85“; აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „აფსნი-85“; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კობა ჩიხელის სახელობის სტუდენტთა რაზმი; საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი „მორკინალი-85“; ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „პოლიტექნიკოსი-85“; თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „კახეთი-85“; გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „დილა-85“.

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სამშენებლო რაზმი „მშენებელი-85“; ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის რაზმი „მზიგული-85; თბილისის №31 საშუალო სკოლის შრომისა და დასვენების ბანაკი; თბილისის №125 საშუალო სკოლის შრომისა და დასვენების ბანაკი; საგარეჯოს რაიონის მანავის №2 საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა; აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის ბაღმარნის საშუალო სკოლის სარემონტო ბრიგადა; თბილისის №71 საშუალო სკოლის უფროსკლასელთა შრომითი რაზმი; ქუთაისის №7 საშუალო სკოლის უფროსკლასელთა შრომითი რაზმი; ამირეჯიბი მერაბ მიზეიოლის ძე — ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი; ბანძელაძე დავით გურამის ძე — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტი; გოგსაძე გურამ ჭიჭიკოს ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი ლაბორანტი; გურგენიძე ზურაბ სტეფანეს ძე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკის ორდინატორი; დეკანოიძე ავთანდილ ოთარის ძე — ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი; ლუცუფიძე ლია მიხეილის ასული — თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი; მგალობლიშვილი ელგუჯა ბიჭიკოს ძე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე; მერაბიშვილი ალექსანდრე პეტრეს ძე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი; მჭედლიძე იოსებ ნოდარის ძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი; საკანია რუსლან მიროდის ძე — აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი; სერგია გია ვახტანგის ძე — თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი; ტუღეევი ზურაბ ყაზბეგის ძე — სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი; ციცაგი ბესიკ ავთანდილის ძე — ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი; წიკლაური გელა გრიგოლის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი; ჭელიძე გულნარა აორნის ასული — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი; ხიბლაშვილი გიორგი გრიშას ძე — საქართველოს ზოოტექნიკურ-საცეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სტუდენტი.

„სალუტ-7“ სადგური: კვლევა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, „სალუტ-7“-„კოსმოს-1686“ კოსმონავტი ფრენას განაგრძობს. „სალუტ-7“ სადგურთან მუშაობის დასახული პროგრამა პილოტირებული რეჟიმით შესრულებულია.

კოსმოსური სივრცის გამოსაკვლევად სადგურთან შემდგომი მუშაობის მიზნით 19-22 აგვისტოს ორბიტული კომპლექსი უფრო მაღალ ორბიტაზე გადავა.

მოკლედ

● **სან-ფრანცისკო.** კალიფორნიის ცენტრალურ რაიონებში დაიწყო ორკვირიანი სამხედრო მანევრები კოდური სახელწოდებით „კელტიკ კროს-4“. მასში მონაწილეობს დაახლოებით 22 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის, ეროვნული გვარდიის რეზერვისტები და ქვეგანაყოფები. როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა თქვა, წვრთნის მიზანია დაამუშაოს ურთიერთმოქმედების მეთოდები საჰაერო დესანტის გადმოსხმის დროს.

● **ჰავანა.** სალვადორის სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო ვერტმფრინავი ჩამოვადგა პარტიზანთა საზენიტო ცეცხლმა მორასანის დეპარტამენტში, ქვეყნის დედაქალაქ სან-სალვადორიდან 200 კილომეტრზე. ვერტმფრინავში მყოფი ოთხი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

● **ტოკიო.** მომავალი წლის ოქტომბრისათვის იაპონიის ეროვნულ ავიაკომპანია „ჯაპან ეირლაინზი“ გადაეცემა კერძო კაპიტალს. ეს თქვა ამ სახელმწიფო ავიაკომპანიის დირექტორთა საბჭომ თავმჯდომარემ ძიუნძი იტომ. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მთავრობა დაადგა სახელმწიფო სექტორის მასირებული დენაციონალიზაციის კურსს.

უკვე გადაეცა კერძო კაპიტალს სახელმწიფო სექტორის ყოფილი უდიდესი კომპანია — იაპონის სატელეგრაფო-სატელეფონო კორპორაცია, პრაქტიკულად გადაწყდა საკითხი იმის შესახებ, რომ კერძო კაპიტალს მიჰყიდონ სახელმწიფო რკინიგზები.

საზოგადოებრიობის კრება

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობამ დროის გამოცდას გაუძლო, მტკიცდება და ვითარდება. ეს ითქვა 18 აგვისტოს მოსკოვში გამართულ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებაზე, რომელიც ავღანეთის დამოუკიდებლობის აღდგენის 67 წლისთავს მიეძღვნა.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ დამოუკიდებელი ავღანეთის ისტორია განუყოფელია საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობისაგან. სსრ კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობა ვითარდება დინამიკურად და ეფექტიანად სულ სხვადასხვა დარგში.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეგობარი ქვეყნის ხალხი გულდაჯერებით ამჩნევს თავის ცხოვრებას სოციალური სამართლიანობის, დემოკრატიისა და პროგრესის პრინციპებზე. ავღანეთის რევოლუციის ძლევამოსილი წინსვლა გრძელდება იმის მიუხედავად, რომ მის წინააღმდეგ იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებმა გააჩაღეს გამოუცხადებელი ომი, არ წყდება შეიარაღებული შეჭრა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. (საკრესი).

მოსაზრებები ტექნიკური ტერმინოლოგიის შესახებ

რუსულ-ქართულ ლექსიკონში, „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ სიტყვა (ტერმინი) „Индуктивный“ და „Индукционный“ თარგმნილია ერთი და იმავე სიტყვით — „ინდუქციური“. ეს იწვევს გაუგებრობას, ვინაიდან აღნიშნული ტერმინები რუსულ ენაში (როგორც სხვა ენებში) **индукция, индукционный** и **индуктивный** სხვადასხვას ნიშნავს და გულისხმობს სხვადასხვა სახის მოწყობილობებს, მაგალითად გადამწოდებს.

აღნიშნული ცნებების ზუსტ განმარტებას იძლევა მსოფლიოში ცნობილი წიგნი А. М. Туричин «Электрические измерения неэлектрических величин» (1966 წ. 66-67 გვ.).

ასეთივე განმარტება მოცემულია ე. ს. ლევშინასა და პ. ვ. ნოვიცკის წიგნში: „Электрические измерения физических величин“.

საჭიროა, რომ ისევე, როგორც სხვა ენებში, ქართულ ენაშიც შემოვიღოთ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნების „индуктивный“-სა და „индукционный“-ის შესატყვისი ქართული ტერმინები — „ინდუქტიური“ და „ინდუქციური“, როგორც ეს მოყვანილია, მაგალითად, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის და „რუსულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგულ ავტომატური მართვის ტერმინთა ლექსიკონში (მოსკოვი, 1963 წ.).

ასევე სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს გამოთქმებს: „Магнитопровод“ და „Магнитная цепь“, და ამასთან პირველი მეორის კომპონენტია, თუმცა ეს შეცდომა უკვე გამოსწორებულია (ქსე, ტომი 6, გვ. 331 და 336), ამიტომ საჭიროა ამ ტერმინების გამოყენება საჭიროებისამებრ.

სიტყვა (ტერმინი) „плата“ თარგმნილია როგორც „დაფა“, „ფირფიტა“, რაც არ შეესაბამება მის დანიშნულებას, ვინაიდან „плата“ თვითონ უკვე ფიზიკურად განსხვავდება ჩვეულებრივი დაფისა თუ ფირფიტისაგან და წარმოადგენს გარკვეულ მოწყობილობას — უბრალო დასახელება კი — „დაფა“, „ფირფიტა“, არაფერს არ გვეუბნება, ხოლო „плата“ ზუსტად გამოხატავს ამ მოწყობილობასა და მის დანიშნულებას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ისევე როგორც სხვა ენებში, ეს სიტყვა (ტერმინი) — „плата“ უნდა დაკანონდეს ქართულშიც ისევე, როგორც იგი ფაქტობრივად იხმარება ცხოვრებაში — „პლატა“ (როგორც ბლოკი, პანელი და სხვ.).

რატომ „რამეთუ“?

სალიტერატურო ენის ნორმების დაცვისათვის

ახლა ყოველმა მეტ-ნაკლებად განათლებულმა ადამიანმა თეორიულად თითქოს კარგად იცის ქართული სალიტერატურო ენის წარმოებისა და განვითარების ისტორიული სტადიები, გრამატიკული წესები, კანონები და კატეგორიები, რომლებიც აწესრიგებენ და განასხვავებენ ლიტერატურულ ენას ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან. საუკუნეების განმავლობაში დიდი რუდუნებითა და გარჯით არის გაშენებული ჩვენი სალიტერატურო ენის ის „ბაღი“, რომელსაც, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, გაჩნდა თვითნებობის და ენობრივ-სტილისტური „ვარჯიშის“ ერთგვარი საზიანო ტენდენცია, რომლის ცალკეულ მახინჯ ფორმებს და გამოვლინებებს, სამწუხაროდ, ზშირად ვაწყდებით. ყველაზე ტიპური და საგალაო ამ მხრივ **„რამეთუს“** მაგალითია.

ეს მაკავშირებელი დამხმარე სიტყვა თანამედროვე **„რადგანის“** ნაცვლად უკანასკნელ წლებში გასაოცარი სისწრაფით და მასშტაბით აღორძინდა ჩვენს ენაში. მას მოდური გატაცებით, ერთმანეთის მიბაძვით იმეორებს ბევრი პარტიული და სამეურნეო მუშაკი, კოლმეურნე თუ საწარმოს მუშა, სკოლის მოსწავლე თუ სტუდენტი, ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი კი ჯიუტად, შეგნებულად იყენებს, ხოლო პრესა, რადიო, ტელევიზია და გამომცემლობები, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობენ მის რაც შეიძლება გავრცელებას და დამკვიდრებას. საკითხის არსსა და სიღრმეში სერიოზულად არავინ იხედება. ამიტომ თითოეროლა თავისთავად საინტერესო სტატიის (პროფესორი ალ. ღლონტი და სხვ.) არც რაიმე საჭირო შედეგი მოყოლია.

„რამეთუ“ ჩვენი ენის უძველესი ლექსიკური ფონდიდანაა წამოღებული. იგი წმინდანების ცხოვრების, აგიოგრაფიული ძეგლების, მეხუთე-მეათე საუკუნეების სასულიერო მწერლობის ნიმუშებში გვხვდებოდა და გვხვდება როგორც „შუნ“, „ჰრქუა“, „ჩუენ“, „მოკუდა“, „ქუეყანანა“, „თქუეს“ და ა. შ. სპეციალურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზუსტად არის დადგენილი „რამეთუს“ სამოქმედო არეალი. იგი არ გადმოჰყოლია საერო მწერლობას, არ უპოვია პირდაპირი ასახვა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, სადაც გამოკვეთილად არის ნაჩვენები „რადგან“. მაშასადამე, დარჩა ძველი ქართული ენისა და ძველი ლიტერატურული ძეგლების ისტორიულ კუთვნილებად.

არც ნიკო მარს, არც ივანე ჯავახიშვილს, არც ვასილ ბარნოვს და არც კონსტანტინე გამსახურდიას, რომელთაც გახულყვეტლივი კონტაქტი ჰქონდათ უძველეს წერილობით და მხატვრულ ძეგლებთან, თავიანთი ნაწერებში უაზროდ და უმიზნოდ არასოდეს გამოუყენებიათ „რამეთუ“. მაშ, რამ გამოიწვია ესოდენ თვალში საცემი „აღზევება“? საიდან მოდის მისი სათავე?

თუ სიზუსტის პოზიციიდან ვიმსჯელებთ, პირველად ქართულ საბჭოთა პოეზიაში „რამეთუს“ არსებობის დასაბამი მიეცა სიმონ ჩიქოვანის პოემიდან „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელიც, როგორც ცნობილია, სამამულო ომის მრისხანე პერიოდში დაიწერა. მთელ პოემაში მხოლოდ ერთგან ხმარებულ ამ სიტყვას შემდგომ სიმონ ჩიქოვანის და არც მისი თაობის მწერალთა შემოქმედებით ნიმუშებში არ უბოვია რამე გამოძახილი. რომ დავწმუნდეთ შეცდომის სისწორეში, აღვადგინოთ პოემის შესაბამისი სტრიფოები: **„ისევ ეძებენ მორწმუნე მოძმეს, რამეთუ მამულს უშველონ მერმის და ქართლი მრავალ ვარამს მოწმე აწ ჩრდილოეთით მეგობარს ელის“.**

ეს სტროფი აღებულია ლექსიდან „სტუმრები“, სადაც გადმოცემულია გზად მიმავალი მირიან ბატონიშვილის მოულოდნელი შეხვედრა მირგოროდში მოხუც დავით გურამიშვილთან. ვინც ყურადღებით დააკვირდება სტროფის მეორე სტრიქონში ჩასმულ „რამეთუს“ აზრობრივ ფუნქციას, დაინახავს, რომ იგი არც ძველი და არც ახალი გაგებით არ ასრულებს ორი წინადადების მიზეზობითი გარემოებით დაკავშირების ცდაც. ასეთ დაენებას კი მხარს არ უნდა ვუჭერდეთ.

დადგენილი ნორმატივებისადმი თვითნებურმა დამოკიდებულებამ მწვავე ხასიათი მიიღო თარგმანებში. ყველა საბჭოურ რუსულ-ქართულ ლექსიკონებში რუსული მაკავშირებელი ნაწილაკი „Ибо“ თარგმნილია „რადგან“, „ვინაიდან“, „იმიტომ რომ“, „რადგანაც“. მიუხედავად ამისა, ბოლო ხანებში „Ибо“-ს „რამეთუთი“ თარგმნის ფაქტი თითქმის საყოველთაო მოვლენად იქცა. მან თავი იჩინა პარტიის სახელმძღვანელო დოკუმენტებშიც კი. ზოგჯერ მიბაძავა უკიდურეს ფორმას, აზრის გაბუნდოვანებას იწვევს.

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებში გაუგებარი, ხელოვნურად ნაკეთები, არქაული სიტყვების მომრავლება („ეულგარულობენ“, „დინებდა“, „მოჰფითრებდა“, „იგუმანნა“, „უწყოდა“, „დაუშრომლად“, მიუდარდელობდა“ და სხვ), ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს სკოლებში უმძიმეს პირობებს უქმნის მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების განვითარების გზაზე. ერთიანი სწორი ტერმინოლოგიური გარემოცვის შექმნა არა მარტო სკოლის, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოების კეთილშობილური ამოცანაა. საქართველოს მწერალთა მეათე ყრილობაზე საგანგებოდ გამახვილდა ყურადღება ამ საკითხებზე.

ამიტომ წინანდელი ტრადიციის მსგავსად გადაუდებლად საჭიროა რადიკალური ღონისძიებების გატარება ქართული მრავალსაუკუნოვანი ენობრივი კულტურის, მისი სიმდიდრის, სიღიადის და სიწმინდის, ერთიანი ლიტერატურული ენის ნორმების ურყევად და მტკიცედ დაცვისათვის.

ა. თოფურია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის გაერთიანებული კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ბერძენი ნათლიების საჩუქარი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). საბერძნეთის ქალაქ ნიკეიდან ძვირფასი საჩუქარი მოვდა სამი ნორჩი ქუთაისელის სახელზე. პატარების შშობლებს ბერძენ მეგობართა საჩუქრები საზეიმო ვითარებაში გადასცა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ დ. წერეთელმა.

საპირველმაისო დღესასწაულის დღეებში ქუთაისში ჩამოსული იყო დამშობლებული ქალაქის დელეგაცია ნიკეის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ვერა ნიკოლაიდუს ხელმძღვანელობით. დელეგაციის წევრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ქუთაისელმა მშრომელებმა, ქალაქის ერთ-ერთ მაგისტრალურ ქუჩას საზეიმო ვითარებაში მიენიჭა ნიკეის სახელი და აქვე მეგობრობის მემორიალი გაიხსნა.

ქალაქ ნიკეის დელეგაციის წევრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქართული კულტურის ძეგლები, მათ შორის გელათის სამონასტრო კომპლექსი და აკადემია, ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, იყვნენ №3 სამშობიარო სახლშიც, სადაც მათი სტუმრობის დროს ვაჟი დაბადა. ორმაგი აღმოჩნდა ახალშობილის შშობლების — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საგამომყვანო წარმოების აღმრიცხველის დარეჯან ქარჩხაძის და ქუთაისელი ბერძენ-სამონტაჟო სამმართველოს მძღოლის გიორგი ხელაძის სიხარული — მათს ოჯახს პირველი პატარა მოევლინა და ბავშვს ბერძენი სტუმრის ნიკოლაუსის სახელი დაარქვეს. იმავე დღეს შვილები შეეძინათ დარეჯან სამარგალიან-კეთილაძეს და მარინე ჯანელიძე-კატონიანს. მათ პირმშოებსაც ბერძენმა მეგობრებმა დაარქვეს სახელები.

„და ალ, ბერძენმა ნათლიებმა საჩუქრები გამოუგზავნეს ნორჩ ქუთაისელ სეხნიებს, გაიხარეს პატარების ოჯახებმა.

დ. გედენიძე.

გაგოვიდა ნიკო შველიძის იუმორისტული მოთხრობების კრებული „ვის ჰყავს ასეთი მეზობელი?!“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“). კრებულში შეტანილია ავტორის მიერ ბოლო წლებში დაწერილი ნაწარმოებები, რომლებშიც გმობს და ამათრახებს ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ შემორჩენილ ისეთ მანკიერებებს, როგორიცაა ბიუროკრატიზმი და მლიქვნელობა, მომხვეჭელობა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება, გამომძალველობა და მექრთამეობა, ლოთობა, წრეგადასული ქორწილები და ქელეხები, იუბილეებანია და სხვა ნეგატიური მოვლენები, რომლებიც ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების წინსვლას.

წიგნის რედაქტორია შ. კაპანაძე, მხატვარი — ვ. აბაშიძე.

წიგნის თარო

ნიკო შველიძე

ᲓᲔᲓᲐᲞᲝ ᲔᲜᲐᲕ!

ᲐᲮᲚᲐ ყოველმა მეტ-ნაკლებად განათლებულმა ადამიანმა თეორიულად თითქოს კარგად იცის ქართული სალიტერატურო ენის წარმოებისა და განვითარების ისტორიული სტადიები, გრამატიკული წესები, კანონები და კატეგორიები, რომლებიც აწესრიგებენ და განასხვავებენ ლიტერატურულ ენას ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან. საუკუნეების განმავლობაში დიდი რუდუნებითა და გარჯით არის გაშენებული ჩვენი სალიტერატურო ენის ის „ბაღი“, რომელსაც, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, გაჩნდა თვითნებობის და ენობრივ-სტილისტური „ვარჯიშის“ ერთგვარი საზიანო ტენდენცია, რომლის ცალკეულ მახინჯ ფორმებს და გამოვლინებებს, სამწუხაროდ, ზშირად ვაწყდებით. ყველაზე ტიპური და საგალაო ამ მხრივ **„რამეთუს“** მაგალითია.

ეს მაკავშირებელი დამხმარე სიტყვა თანამედროვე **„რადგანის“** ნაცვლად უკანასკნელ წლებში გასაოცარი სისწრაფით და მასშტაბით აღორძინდა ჩვენს ენაში. მას მოდური გატაცებით, ერთმანეთის მიბაძვით იმეორებს ბევრი პარტიული და სამეურნეო მუშაკი, კოლმეურნე თუ საწარმოს მუშა, სკოლის მოსწავლე თუ სტუდენტი, ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი კი ჯიუტად, შეგნებულად იყენებს, ხოლო პრესა, რადიო, ტელევიზია და გამომცემლობები, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობენ მის რაც შეიძლება გავრცელებას და დამკვიდრებას. საკითხის არსსა და სიღრმეში სერიოზულად არავინ იხედება. ამიტომ თითოეროლა თავისთავად საინტერესო სტატიის (პროფესორი ალ. ღლონტი და სხვ.) არც რაიმე საჭირო შედეგი მოყოლია.

„რამეთუ“ ჩვენი ენის უძველესი ლექსიკური ფონდიდანაა წამოღებული. იგი წმინდანების ცხოვრების, აგიოგრაფიული ძეგლების, მეხუთე-მეათე საუკუნეების სასულიერო მწერლობის ნიმუშებში გვხვდებოდა და გვხვდება როგორც „შუნ“, „ჰრქუა“, „ჩუენ“, „მოკუდა“, „ქუეყანანა“, „თქუეს“ და ა. შ. სპეციალურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზუსტად არის დადგენილი „რამეთუს“ სამოქმედო არეალი. იგი არ გადმოჰყოლია საერო მწერლობას, არ უპოვია პირდაპირი ასახვა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, სადაც გამოკვეთილად არის ნაჩვენები „რადგან“. მაშასადამე, დარჩა ძველი ქართული ენისა და ძველი ლიტერატურული ძეგლების ისტორიულ კუთვნილებად.

არც ნიკო მარს, არც ივანე ჯავახიშვილს, არც ვასილ ბარნოვს და არც კონსტანტინე გამსახურდიას, რომელთაც გახულყვეტლივი კონტაქტი ჰქონდათ უძველეს წერილობით და მხატვრულ ძეგლებთან, თავიანთი ნაწერებში უაზროდ და უმიზნოდ არასოდეს გამოუყენებიათ „რამეთუ“. მაშ, რამ გამოიწვია ესოდენ თვალში საცემი „აღზევება“? საიდან მოდის მისი სათავე?

თუ სიზუსტის პოზიციიდან ვიმსჯელებთ, პირველად ქართულ საბჭოთა პოეზიაში „რამეთუს“ არსებობის დასაბამი მიეცა სიმონ ჩიქოვანის პოემიდან „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელიც, როგორც ცნობილია, სამამულო ომის მრისხანე პერიოდში დაიწერა. მთელ პოემაში მხოლოდ ერთგან ხმარებულ ამ სიტყვას შემდგომ სიმონ ჩიქოვანის და არც მისი თაობის მწერალთა შემოქმედებით ნიმუშებში არ უბოვია რამე გამოძახილი. რომ დავრწმუნდეთ შეცდომის სისწორეში, აღვადგინოთ პოემის შესაბამისი სტროფი: **„ისევ ეძებენ მორწმუნე მოძმეს, რამეთუ მამულს უშველონ მერმის და ქართლი მრავალ ვარამს მოწმე აწ ჩრდილოეთით მეგობარს ელის“.**

ეს სტროფი აღებულია ლექსიდან „სტუმრები“, სადაც გადმოცემულია გზად მიმავალი მირიან ბატონიშვილის მოულოდნელი შეხვედრა მირგოროდში მოხუც დავით გურამიშვილთან. ვინც ყურადღებით დააკვირდება სტროფის მეორე სტრიქონში ჩასმულ „რამეთუს“ აზრობრივ ფუნქციას, დაინახავს, რომ იგი არც ძველი და არც ახალი გაგებით არ ასრულებს ორი წინადადების მიზეზობითი გარემოებით დაკავშირების ცდაც. ასეთ დაენებას კი მხარს არ უნდა ვუჭერდეთ.

დადგენილი ნორმატივებისადმი თვითნებურმა დამოკიდებულებამ მწვავე ხასიათი მიიღო თარგმანებში. ყველა საბჭოურ რუსულ-ქართულ ლექსიკონებში რუსული მაკავშირებელი ნაწილაკი „Ибо“ თარგმნილია „რადგან“, „ვინაიდან“, „იმიტომ რომ“, „რადგანაც“. მიუხედავად ამისა, ბოლო ხანებში „Ибо“-ს „რამეთუთი“ თარგმნის ფაქტი თითქმის საყოველთაო მოვლენად იქცა. მან თავი იჩინა პარტიის სახელმძღვანელო დოკუმენტებშიც კი. ზოგჯერ მიბაძავა უკიდურეს ფორმას, აზრის გაბუნდოვანებას იწვევს.

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებში გაუგებარი, ხელოვნურად ნაკეთები, არქაული სიტყვების მომრავლება („ეულგარულობენ“, „დინებდა“, „მოჰფითრებდა“, „იგუმანნა“, „უწყოდა“, „დაუშრომლად“, მიუდარდელობდა“ და სხვ), ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს სკოლებში უმძიმეს პირობებს უქმნის მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების განვითარების გზაზე. ერთიანი სწორი ტერმინოლოგიური გარემოცვის შექმნა არა მარტო სკოლის, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოების კეთილშობილური ამოცანაა. საქართველოს მწერალთა მეათე ყრილობაზე საგანგებოდ გამახვილდა ყურადღება ამ საკითხებზე.

ამიტომ წინანდელი ტრადიციის მსგავსად გადაუდებლად საჭიროა რადიკალური ღონისძიებების გატარება ქართული მრავალსაუკუნოვანი ენობრივი კულტურის, მისი სიმდიდრის, სიღიადის და სიწმინდის, ერთიანი ლიტერატურული ენის ნორმების ურყევად და მტკიცედ დაცვისათვის.

ა. თოფურია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის გაერთიანებული კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ᲛᲝᲓᲘᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲓᲘᲐᲜ

დეკორაციები არ დასჭირდათ თბილისელ, ბათუმელ, ქუთაისელ მსახიობებს, რომლებიც ამ დღეებში რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების მშრომელების წინაშე წარსდგნენ. საკონცერტო „დარბაზებად“ იქცა ისტორიულ ძველებთან მდებარე მოედნები.

საქართველოს ხელოვნების ოსტატთა საკონცერტო მარშრუტები რესპუბლიკის თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონში გადის. მაგალითად, ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებს ეწვია თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის საესტრადო მინიატურების ჯგუფი. ქუთაისის ფილარმონიის მსახიობები შეხვდნენ ამბროლაურს, რაიონის მეავანგარდეებსა და მემინდვრეებს.

ხელვაჩაურის, ხულოს, შუახევისა და ქედის მშრომელები გაეცნენ სამხატვრო კოლექტივ „ათენსა“ და აქარის ფილარმონიის საესტრადო ანსამბლის ხელოვნებას.

სვანეთის კულტურულ ცხოვრებაში მოვლენად იქცევა საქართველოს დედაქალაქის მსახიობების გამოსვლები. ლიტერატურულ კომპოზიციაში „შენ ხარ ვენახი“ მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ზინა კვერენჩხილაძე, რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი ზაზა ბაწელაშვილი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვოკალური ansamblი „ფაზისი“.

თურქეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში წარმატებით გამოსვლის შემდეგ [illegible] საქართველოს ხალხური ეკვეს სახელმწიფო აკადემიური დასახურებული ansamblი სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნინო რამიშვილისა და რესპუბლიკის სახალხო არტისტის თენგიზ სუხიშვილის ხელმძღვანელობით თავის ხელოვნებას გააცნობს აფხაზეთის მშრომელებს. რესპუბლიკის ფილარმონიის სოლისტები [illegible] ბაშელეიშვილი, ნ. ბერიძე, ნ. ბერიძე, ნ. ბერიძე